ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF VANI

ოქმი:ო65. 6524047001
თარიღი:16/02/2024

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 2

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 14.02.2024 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე **- ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ჩიკვაიძე, ლია დიასამიძე, სანდრო ხურციძე, ლანა გოგოძე, ილია დვალიშვილი, გიორგი ტყეშელაშვილი, ივანე კოძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, მაკა ზარნაძე, თეონა ადეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე მჟავანაძე, დავით კაკაბაძე, ნატო დვალი, ლიზა ტყეშელაშვილი, კობა ძაგნიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გრიგოლ მატარაძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, ეთერი ჭიჭინაძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის უფროსი-**ტარიელ ბარამიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი **- ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში **- ლუბა გოგოძე.**

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტი**- გელა ჩიტორელიძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 ^{00} საათზე გახსნილად აცხადებს და თხოვს საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით და ფეხზე ადგომით პატივი მიაგონ სტიქიური უბედურების შედეგად ბაღდათში და აჭარაში დაღუპულთა ხსოვნას.

წუთიერი დუმილის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს: ***გიორგი ივანიაძე***

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ

მომხს: ***ზვიად კაპანაძე***

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს: ***გელა ჩიკვაიძე***

4. ვანის მუნიციპალიტეტში 2024 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ;

მომხს: ***გელა ჩიტორელიძე***

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 25

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა საკრებულოს სხდომაზე მიღებული იქნა ეს დადგენილება და შერჩეული იქნა გასაშენებელი მწვანე ნარგავების სია. მთავრობის ადმინისტრაციიდან კი მოვიდა შენიშვნა. გამოაგზავნეს ნარგავების სია, რომლის მიხედვითაც უნდა ისარგებლონ იმერეთის მხარეში და კერძოდ ვანის მუნიციპალიტეტში მწვანე ნარგავების განაშენიანების დროს.

მომხსენებელმა წარმოადგინა ამ ნარგავების ჩამონათვალი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი . „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 16 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

დადგენილება N 3

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ცვლილება არ შესულა. მიწის ნორმატიული ფასები დარჩა იგივე. მიუხედავად ამისა ყოველ წელს საჭიროა ახალი დადგენილების მიღება, მაშინაც კი თუ ცვლილება არ იქნება.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“;

დადგენილება N4

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის

პირებისა, 2024 წლის იანვრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2024 წლის 1 თებერვლის N65-65240325 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 817 (რვაასჩვიდმეტი) ლარი, რაც ჯამში შეადგენს 8170 (რვაათასასსამოცდაათ) ლარს.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 25

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2024 წლის იანვრის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

განკარგულება N გ-65.6524045001

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიტორელიძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2024 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ყველა თემში მოხდა შეხვედრა მოსახლეობასთან და მათი აქტიურობით დამტკიცდა 2024 წელში გასაკეთებელი პროექტები. სულ78 პროექტი ღირებულებით 580000 (ხუთასოთხმოციათასილარი) დამატებული ეკონომიები 5500 ლარი.(ხუთიათას ხუთასი ლარი) სულ 585500 ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 24

წინააღმდეგი – 1 (დავით კაკაბაძე)

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტში 2024 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ;

განკარგულება N გ-65.65240452

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი